ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი № 19

24 მაისი 2018 წ ქ.თბილისი, თავისუფლების მოედანი # 2

14:00

მოწვეული სტუმრები:

საფინანსო საქალაქო სამსახური - გაიოზ თალაკვაძე; ლევან მიქავა.

სსიპ ქონების მართვის სააგენტო- ირაკლი თავართქილაძე

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებიდან სხდომას ესწრებოდნენ :

1. კომისიის თავმჯდომარე - ირაკლი ზარქუა

2. კომისიის წევრები: ლევან არველაძე, ლევან დავითაშვილი,რამინა ბერაძე,ალექსანდრე ხუჯაძე, დავით უთმელიძე,ლევან დარახველიძე, გოჩა თევდორაძე,ვახტანგ შაქარიშვილი.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომა უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრებოდა კომისიის წევრთა უმრავლესობა.

სხდომის თავმჯდომარე მიესალმა სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას და გააცნო დღის წესრიგი.

კენჭი უყარეს წარმოდგენილ დღის წესრიგს.

დღის წესრიგი:

1.თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის 3 თვის შესრულების ანგარიში.- ცნობის სახით

2.საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილები: №11-0118137550; №11-01181422524 და №11-01181413361 „თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამა/ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ.“

3.თბილისის მუნიციპალიტეტში, თბილისის საკონცერტო დარბაზის მიმდებარედ, მრავალდონიანი მიწისქვეშა ავტოსადგომის მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის, მშენებლობის, ოპერირებისა და თბილისის მუნიციპალიტეტისთვის გადმოცემის თაობაზე ინტერესთა გამოხატვის პირობების მოწონების შესახებ. (№12-03181411-03)

4.თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოსა და აუქციონში გამარჯვებულ პირს -შპს „კონსალტინგ გრუპს“ (უფლებამონაცვლე შპს „სითი ბოქსი“, ს/კ 439402843) შორის 2017 წლის 31 მაისს გაფორმებულ იჯარის ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე. (№12-03181411-03)

5.თბილისში, სამგორის ქუჩა №16-ში (საკ/კოდი №01.17.11.014.005) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე. (12-03181425-03

6.თბილისში, ხევძმარის ქუჩა №1-ის მიმდებარედ 554 კვმ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი:№01.11.12.023.020) შპს „აი ჯი დეველოფმენტ ჯორჯიასთვის“ (ს/კ 404851503) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, სასყიდლიანი სერვიტუტის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე. (12-03181425-03)

7.თბილისში, მარიჯანის ქუჩის მიმდებარედ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 3788 კვმ (საკ/კოდი №01.14.03.039.069) მიწის ნაკვეთის ყოფილი საბინაო - სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის / მათი უფლებამონაცვლეებისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების თაობაზე.

(12-031813829-03)

8.თბილისში, დემეტრე თავდადებულის ქუჩა, კორპ.№2-ის მიმდებარედ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 5496 კვმ (საკ/კოდი:№01.10.06.006.245) მიწის ნაკვეთის ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების თაობაზე. (12-031813829-03)

9.შპს „ას ჯორჯიას“ (ს/ნ 406024270) მიმართ გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების შესახებ. (12-03181285)

10.შპს „ბი ეს არ სი დი ჯი დეველოპმენტსა (ს/ნ 204513687) და თბილისის მუნიციპაიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს- ქონების მართვის სააგენტოს შორის 2016 წლის 15 სექტემბერს გაფორმებული პირობებით გამოცხადებული აუქციონის NE-327-16-20255 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობის შეცვლის თაობაზე. (12-03181285)

დღის წესრიგი დამტკიცებული იქნა.

მოისმინეს გაიოზ თალაკვაძის ინფორმაცია 2018 წლის ბიუჯეტის 3 თვის შესრულების შესახებ.

მან დაწრილებით ისაუბრა აღნიშნულთან დაკავშირებით. ბიუჯეტის შემოსავლები 3 თვეში გეგმით გათვალისწინებული1730506 ათასი ლარი შესრულდა 146 482,1 ათასი ლარით 84,4%.

გადასახადებიდან საშემოსავლო გადასახადის სახით ბიუჯეტში მიღებულია 2 755,1 ათასი ლარი. ქონების გადასახადიდან მისაღები შემოსავლები- 1241,9 ათასი ლარი. გრანტების სახით მიღებულია 98 577,2 ათასი ლარი.მ.შ. მიმდინარე 86 56,5 ათასი ლარი,კაპიტალური 12 010,7 ათასი ლარი,სხვა შემოსავლების სახით ბიუჯეტში მიღებულია 45 119,9 ათასი ლარი.მ.შ. შემოსავლები საკუთრებიდან 2 460,9 ათასი ლარი, პროცენტებიდან მისაღები შემოსავლები-2 460,8 ათასი ლარი, დივიდენდებიდან- 8,8 ათასი ლარი, რენტა- 1 346,6 ათასი ლარი. არაფინანსური აქტივების გაყიდვიდან მიღებულია 6 794,5 ათასი ლარი. სულ მთლიანად შემოსულობებმა შეადგინა 153 560,4 ათასი ლარი გეგმით გათვალისწინებულის 80%. გადასახდელების ნაწილში მთლიანად ბიუჯეტის გადასახდელები 3 თვეში დაფინანსებულია 151 705,2 ათასი ლარით.

პრიორიტეტების მიხედვით:

სტრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-აღდგენა- 10 078,5 ათასი ლარით.

ინფრასტრუქტურული ობიექტების მშენებლობა-ექსპლუატაცია და ავარიული შენობების გამაგრება- 30413,8 ათასი ლარით.

ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება-გაუმჯობესება- 9992,0 ათასი ლარით.

ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა-184,2 ათასი ლარით

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების პროგრამები- 993,1 ათასი ლარით

ჯანდაცვის პროგრამები- 11163,3 ათასი ლარით

სოციალური დაცვა-36 028,9 ათასი ლარით

კულტურა,სპორტი და ამხანაგობა- 4 541,7 ათასი ლარით

საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება- 659,2 ათასი ლარით

წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ხარჯები- 15615,4 ათასი ლარით.

შეკითხვები ქონდათ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების პროგრამებთან დაკავშირებით. გაიოზ თალაკვაძემ აღნიშნა, რომ ამხანაგობების განვითარების წესის მიღებიდან გამომდინარე ტენდერები გამოცხადდა გვიან, რამაც გამოიწვია ამ პროგრამებში თანხების ეკონომია.

მოისმინეს: საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილები:№11-0118137550; №11-01181422524 და №11-01181413361 „თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამა/ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ.“

გაიოზ თალაკვაძის ინფორმაციით, ქალაქის მასშტაბით ავარიული შენობების გამაგრება გაძლიერების სამუშაოების ასანაზღაურებლად ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურს მეორე კვარტალში ესაჭიროება 2 300 000 ათასი ლარის დამატება.

კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის თხოვნით, ვინაიდან მეორე კვარტალში გათვალისწინებულმა მულტიფუნქციური სპორტული კომპლექსის სამშენებლო სამუშაოებმა, ტენდერის გამოცხადების თარიღის გადაწევის გამო გადაიწია , შესაბამისად 650000 ლარი გადადის მეორედან მეოთხე კვარტალში, გარდა ამისა „მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის სარემონტო სამუშაოების პროგრამაში", მეორე კვარტლიდან 350 000 ლარის გადატანა ხდება მეოთხე კვარტალში, ვინაიდან ვერ მოხერხდა აღნიშნულ პერიოდში ტენდერის გამოცხადება.

ჩუღურეთის რაიონს, წყალსადენ-კანალიზაციის და სანიაღვრე ქსელების შეკეთებისა და სტიქიისგან და სიძველისგან დაზიანებული შენობა-ნაგებობების ტერიტორიიდან ნარჩენების და სამშენებლო ნაგვის გატანის გამო, დამატებით, მეორე კვარტალში სჭირდება 13 300 ლარი.გარდა ამისა ჩუღურეთისა და სამგორის რაიონის გამგეობები ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების პროგრამაში ითხოვენ თავისუფალი თანხების მეორედან- მეოთხე კვარტალში გადატანას. სარეზერვო ფონდის მეორე კვარტლის გეგმა იზრდება 200 000 ლარით . ასევე ბენეფიციართა მომართვიანობიდან გამომდინარე იზრდება „აუტიზმის სპექტრის მქონე ბავშვტა რეაბილიტაციის" პროგრამის წლიური გეგმა 14 000 ლარით, ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსება" 300 000 ლარით, „ც" ჰეპატიტის დიაგნოსტიკის „ შესაბამისად შემცირებით. ასევე თბილისის მასშტაბით ახალი გარე განათების სანათი წერტილების მოწყობის სამუშაოებისათვის, შესაბამისი პროგრამა იზრდება 1 000 000 ლარით, ხოლო ვინაიდან ისნის რაიონში მეტეხის საავტომობილო გვირაბების კაპიტალური რეაბილიტაციის საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის სახელმწოფი შესყიდვის ტენდერი არ შედგა და სამუშაოების განმეორებით სახელმწიფო შესყიდვა აღარ განხორციელდება, პროგრამა „საპროექტო-საძიებო და კვლევითი სამუშაო ექსპერტიზა"მცირდება 1 000 000 ლარით.

მომხრე- 8; გოჩა თევდორაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილით წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების/ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ", სადაც თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ზოგიერთი საქალაქო სამსახური და რაიონის გამგეობები ითხოვენ, მათზე მიკუთვნებული პროგრამებისა და ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების კვარტალურ და მუხლობრივ გადანაწილებებს,ასევე მოთხოვნილია სარეზერვო ფონიდისათვის

გათვალისწინებული ასიგნებების გაზრდა, ქონების მართვისა და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა გადაწყვიტეს:

"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის 30 დეკემბრის №20-85 დადგენილების დანართი 1-ის მე-2 მუხლის, მე-3 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის და მე-7 პუნქტის შესაბამისად **მიეცეს თანხმობა ქვეპროგრამების ასიგნებების კვარტალურ და მუხლობრივ გადანაწილების ცვლილებას საფინანსო საქალაქაო სამსახურის მიერ წარმოდგენილი წერილების დანართების შესაბამისად.**

მოისმინეს: თბილისის მუნიციპალიტეტში, თბილისის საკონცერტო დარბაზის მიმდებარედ, მრავალდონიანი მიწისქვეშა ავტოსადგომის მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის, მშენებლობის, ოპერირებისა და თბილისის მუნიციპალიტეტისთვის გადმოცემის თაობაზე ინტერესთა გამოხატვის პირობების მოწონების შესახებ.

საპროექტო ტერიტორიის სავარაუდო ფართობია 2304 კვ.მ, ადგილმდებარეობა - **რკინიგზის სადგურის მიმდებარედ,** ავტოსადგომების მინიმალური რაოდენობა: 183 ერთეული. ინტერესთა გამოხატვის პირობების თანახმად, აღნაგობის სიმბოლურ ფასად განისაზღვრა 1 ლარი, ხოლო ვადად - შესაბამისი მშენებლობის ნებართვის მოპოვებიდან 27 წელი , რაც მოიცავს ავტოსადგომის მშენებლობისა (30 თვე) და ოპერირების (25 წელი) ვადას.

წინასამშენებლო ფაზის ფარგლებში ნაკისრი ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად წარმოსადგენი საბანკო გარანტიის ოდენობა შეადგენს 915000 ლარს.

მომხრე- 8; გოჩა თევდორაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

კომისიის წევრთა უმრავლეობით გადაწყდა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოსა და აუქციონში გამარჯვებულ პირს -შპს „კონსალტინგ გრუპს" (უფლებამონაცვლე შპს „სითი ბოქსი", ს/კ 439402843) შორის 2017 წლის 31 მაისს გაფორმებულ იჯარის ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი-ირაკლი თავართქილაძე

აუქციონში გამარჯვებულ პირს , რომლის უფლებამონაცვლე შპს „სითი ბოქსია" ქონების მართვის სააგენტოსთან დადებული ხელშეკრულებით ჰქონდა გარკვეული ტექნიკური სახის ვალდებულებები. მოიჯარე აღნიშნავს , რომ ზოგიერთი ვალდებულების (მაგ.ანტივანდალური ფოლადის უნიტაზი დეზინფექციის ფუნქციით) შესასრულებლად მიმართა რამდენიმე ქარხანას , თუმცა მისი მოძიება ვერ მოხერხდა და განათავსებს მხოლოდ ანტივანდალური ფოლადის უნიტაზს,ხოლო სისუფთავეს უზრუნველყოფს

დამლაგებელი. ასევე ერთერთი ვალდებულება იყო რეტერატის წყლის გამაცხელებლით აღჭურვა, მაგრამ გაბარიტებიდან გამომდინარე მცირე ზომის ტექნიკურ ოთახში წყლის გამათბობელის განთავსება შეუძლებელია და სხვა. კომპანია ითხოვს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანას და ხელშეკრულების მე-2 მუხლის 2,1,6 პუნქტიდან რამდენიმე ქვეპუნქტის ამოღებას.

აზრი გამოთქვეს: ირაკლი ზარქუამ, დავით უთმელიძემ.

კომისიის წევრები დაინტერესდნენ ფინანსურად არის თუ არა დათვლილი რამდენი გამოსდის შეღავათი კომპანიას, ზელშეკრულებიდან ამ პუნქტების ამოღების შემთხვევაში. ირაკლი თავართქილაძემ განმარტა, რომ შეიცვალა კომპანია და ახალი კომპანია უკეთესი ხარისხის პროდუქტს დაამონტაჟებს. აღინიშნა, რომ ლოკაციები ძირითადად არ შეცვლილა, იცვლება რამოდენიმე ლოკაციის ადგილი.

მომხრე- 8; გოჩა თევდორაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

კომისიის წევრთა უმრავლეობით გადაწყდა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: თბილისში, სამგორის ქუჩა №16-ში (საკ/კოდი №01.17.11.014.005) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე.

მომხსენებელი- ირაკლი თავართქილაძე.

ისნის რაიონის შუამდგომლობის საფუძველზე 18 ჯახს სიმბოლურ ფასად 1 ლარად, საკუთრებაში გადაეცემათ სამგორის ქ#16-ში მდებარე უძრავი ქონება, რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობდნენ და სარგებლობდნენ აღნიშნული ქონებით.

მომხრე- 8; გოჩა თევდორაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

კომისიის წევრთა უმრავლეობით გადაწყდა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოიმსინეს : თბილისში, ხევმარის ქუჩა №1-ის მიმდებარედ 554 კვმ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი:№01.11.12.023.020) შპს „აი ჯი დეველოფმენტ ჯორჯიასთვის“ (ს/კ 404851503) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, სასყიდლიანი სერვიტუტის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე.

მომხსენებელი- ირაკლი თავართქილაძე.

შპს „აი ჯი დეველოფმენტ ჯორჯიას“ დირექტორმა მოითხოვა ხევმარის ქუჩა #1-ის მიმდებარედ 554 კვმ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის

უფლებით, სერვიტუტის ფორმით გადაცემა. კომპანიას მიმდებარედ აქვს მრავალფუნქციური სავაჭრო ცენტრი, რომელიც უზრუნველყოფილია პარკინგით, უახლესი თანამედროვე ტექნოლოგიებით. მოთხოვნილი მიწის ნაკვეთი დაკავშირებულია სავაჭრო ცენტრის მისასვლელთან და საჭიროა საერგებლობის უფლებით განკარგვა "დრაივის" ფუნქციონირების მიზნით. თბილისის მთავრობის 2018 წლის 16 მისის №18.330.568 განკარგულებით სერვიტუტის წლიური საფასური განისაზღვრა 8161 ლარი, ხოლო სერვიტუტის მოქმედების ვადა 25 წელი.

მომხრე- 8; გოჩა თევდორაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

კომისიის წევრთა უმრავლეობით გადაწყდა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოიმსინეს: თბილისში, მარიჯანის ქუჩის მიმდებარედ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 3788 კვმ (საკ/კოდი №01.14.03.039.069) მიწის ნაკვეთის ყოფილი საბინაო - სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის / მათი უფლებამონაცვლეებისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების თაობაზე.

მომხსენებელი- ირაკლი თავართქილაძე.

ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს, და უფლებამონაცვლეებს, 10 ოჯახს (№606 კოოპერატივიდან- 6 ოჯახი,№ 642 ;№ 649 №646 და №647 კოოპერატივებიდან თითო ოჯახი) საკუთრებაში გადაეცემათ მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 3788 კვმ მიწის ნაკვეთი, მათ მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საშიანო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე მათი მხრიდან უარის თქმის სანაცვლოდ.

საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრებს შეკითხვები არ ქონდათ.

მომხრე- 8; გოჩა თევდორაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

კომისიის წევრთა უმრავლეობით გადაწყდა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: თბილისში, დემეტრე თავდადებულის ქუჩა, კორპ.№2-ის მიმდებარედ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 5496 კვმ (საკ/კოდი:№01.10.06.006.245) მიწის ნაკვეთის ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების თაობაზე.

მომხსენებელი- ირაკლი თავართქილაძე.

ყოფილი საბინაო-სამშენებლო №627კოოპერატივის წევრებს, და უფლებამონაცვლეებს, 17 ოჯახს საკუთრებაში გადაეცემათ მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 5496 კვმ მიწის ნაკვეთი, თბილისში, დემეტრე თავდადებულის ქუჩა, კორპ№2-ის მიმდებარედ, მათ მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საშიანო ვალზე და მასთან დაკავშირებვულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე მათი მხრიდან უარის თქმის საწაცვლოდ.

საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრებს შეკითხვები არ ქონდათ.

მომხრე- 8; გოჩა თევდორაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

კომისიის წევრთა უმრავლეობით გადაწყდა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: შპს „ას ჯორჯიას“ (ს/ნ 406024270) მიმართ გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების შესახებ.

მომხსენებელი- ირაკლი თავართქილაძე.

საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 12 ოქტომბრის განკარგულებისა და თბილისის მთავრობის სახელით, თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს -ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ას ჯორჯიას“ შორის,გაფორმებული ნასყიდობის ხელსეკრულების საფუძველზე მყიდველს საკუთრებაში გადაეცა ჩოლოყაშვილის ქუჩასა და მდ.მტკვარს შორის მდებარე 8600 კვმ (საკ/კოდი:№01.17.14.003.246), 65672კვმ(სალ/კ/კოდი:№01.17.14.003.247), 58 095 კვმ (საკ/კოდი:№01.17.14.003.281) და 50634 კვმ (საკ/კოდი:№01.17.14.004.004) მიწის ნაკვეთები. ხელშეკრულების საგანი გაიყიდა სიმბოლურ ფასად 1 ლარად. პრივატიზების სავალდებულო პირობით, მშენებლობის დასრულების ვადის ბოლო წლის განმავლობაში მყიდველს, გამყიდველისათვის უნდა წარედგინა შესაბამის სახელმწიფო უწყებასთან შეთანხმებული ლანდშაფტური (დენდროლოგიური) დასვენების პარკის პროექტი მიწის ნაკვეთების მთელ ტერიტორიაზე- 15 ჰექტარზე. ინვესტიციების მინიმალური შენატანით, რომელიც შეადგენს არანაკლებ 3 მლნ აშშ დოლარს. გამყიდველთან წარსადგენ პროექტში დეტალურად უნდა ყოფილიყო გაწერილი (დენდროლოგიური) ლანდშაფტური დასვენების პარკის მშენებლობის ეტაპები და მისი დაახლოებითი ხარჯთაღრიცხვა. პარკის მშენებლობა უნდა დასრულდეს მშენებლობის დასრულებიდან და ექსპლუატაციაში მიღებიდან 5 წლის თავზე. ინვესტიციის განხორციელების ვადებისა და თანხების გრაფიკის დარღვევის შემთხვევაში მყიდველი იხდის ვადაგადაცილებული ინვესტიციის თანხის 0,1% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. კომპანიამ განცხადებით მიმართა ქონების მართვის სააგენტოს და ხელშეკრულების დახვეწისა და მერიისათვის უკეთეს პირობებზე შესაჯერებლად მოითხოვა ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებით მოლაპარაკებების დაწყება. თბილისის მთავრობამ მოლაპარაკებების შედეგად მიზანშეწონილად მიიჩნია შპს „ას ჯორჯიასთან“ დადებულ ხელშეკრულებაში

ცვლილებების შეტანა და კომპანიის პირგასამტეხლოს პატიების საკითხის შეთანხმებაც. საკითხი წარმოდგენილია საკრებულოში შესათანხმებლად.

საკითხთან დაკავშირებით შეკითხვები ქონდათ: ლევან არველაძეს, დავით უთმელიძეს, ირაკლი ზარქუას.

მათ შეკითხვებზე ირაკლი თავართქილაძემ განმარტა,რომ პარკის პროექტის წარმოდგენის ვადა იყო 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით და პროექტი წარმოდგენილი არ არის. პირველი ხელშეკრულების პირობები შესრულდა. აშენდა 100663 კვმ საცხოვრებელი ფართი საჭირო ინფრასტრუქტურით და თვითმმართველს გადმოეცა აშენებული ფართების 5%- 5000 კვმ საცხოვრებელი ფართი. ხელშეკრულებაში შესატანი ცვლილებების შეთანხმების შემთხვევაში, 7,5 ჰექტარზე გაშენდება დასასვენებელი პარკი, რომელიც უნდა დასრულდეს 2023 წლის 31 დეკემბრამდე, პარკის მოვლა-პატრონობა 2 წლის განმავლობაში განხორციელდება მყიდველის მიერ, ხოლო შემდეგ გადმოეცემა მუნიციპალიტეტს უსასყიდლოდ. პარკის განხორიელებაში კომპანია განახორციელებს 3 მლნ აშშ დოლარის ინვესტიციას, ასევე საცხოვრებელი ფართების 6,5 % გადმოეცემა მუნიციპალიტეტს უსასყიდლოდ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

მომხრე- 8; გოჩა თევდორაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

კომისიის წევრთა უმრავლეობით გადაწყდა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: შპს „ბი ეს არ სი დი ჯი დეველოპმენტსა (ს/ნ 204513687) და თბილისის მუნიციპაიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს- ქონების მართვის სააგენტოს შორის 2016 წლის 15 სექტემბერს გაფორმებული პირობებით გამოცხადებული აუქციონის NE-327-16-20255 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობის შეცვლის თაობაზე.

მომხსენებელი- ირაკლი თავართქილაძე.

შპს „ბი ეს არ სი დი ჯი დეველოპმენტ“-ს 2016 წლის 9 სექტემბრის აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის და 2016 წლის 15 სექტემბერს გაფორმებული პირობებით გამოცხადებული აუქციონის ხელშეკრულების საფუძველზე საკუთრებაში გადაეცა ქ. თბილისში, ნუცუბიძის ქუჩასა და ინტენსიფიკაციის გზას შორის, ნაკვეთი 01/298, 3557 კვ.მ მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: N01.14.15.001.315) და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა N1, საერთო ფართით 625,62 კვ.მ. ქონების სრული ღირებულება განისაზღვრა 975 415 ლარის ოდენობით. აუქციონის პირობებად განესაზღვრა: მომიჯნავე საკადასტრო ერთეულებთან გაერთიანების პირობით, არანაკლებ 200 კვ.მ მიწის ნაკვეთზე, აუქციონის ჩატარებიდან არაუმეტეს 2 წლის ვადაში, უნდა აეშენებინა ცალკე მდგომი შენობა-ნაგებობა ან განეხორციელებინა არსებული

შენობის 200 კვ.მ ფართის რეკონსტრუქცია, სადაც შემდგომში განთავსდებოდა მ. ნოდიას სახელობის გეოფიზიკის ინსტიტუტის კოსმოფიზიკური ობსერვატორია. კომპანიას საკუთარი ხარჯებით უნდა უზრუნველყო გეოფიზიკის ინსტიტუტის ფუნქციონირებისთვის საჭირო ტექნიკის გადატანა ახალ შენობა-ნაგებობაში. შპს „ბი ეს არ სი დი ჯი დეველოპმენტი"-ს განცხადებით გაერთიანების შედეგად მიღებული 10265 კვ.მ მიწის ნაკვეთზე (ს/კ N01.14.15.001.378) დაგეგმილია მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა და ამასთან დაკავშირებით 2 წლის განმავლობაში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამის სამსახურებთან მიმდინარეობს მოლაპარაკება განაშენიანების რეგულირების გეგმის (გრგ) დავალების მიღების, ხოლო შემდგომში სამშენებლო პროექტისა და მშენებლობის ნებართვის აღების თაობაზე. კომპანიის მიერ არაერთი პროექტის შეთავაზების მიუხედავად, დღეის მდგომარეობით, შეთანხმება არქიტექტურის სამსახურთან მიღწეული არ არის. ვინაიდან აუქციონის პირობების გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების ვადა სრულდება 2018 წლის 15 სექტემბერს, კომპანია ითხოვს აღნიშნული ვადის 2 (ორი) წლით გადავადებას.

აზრი გამოთქვეს: ირაკლი ზარქუამ, ლევან დარახველიძემ, რამინა ბერაძემ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

მომხრე- 8; გოჩა თევდორაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

კომისიის წევრთა უმრავლეობით გადაწყდა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

სხდომა გამოცხადდა დახურულად.

ქონების მართვის და საფინანსო-საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარე ირაკლი ზარქუა